

შპს „სიხარული“
ს/ნ 216352079
ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია 2023 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი	
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება	2
საზოგადოების საქმიანობის შედეგები	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი	4
კაპიტალში ცვლილებების ანალიზი.....	5
განმარტებითი შენიშვნები.....	6
1.ზოგადი ინფორმაცია.....	6
2.სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7

შპს „სიხარული“
ს/ნ 216352079

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023წ.	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022წ.
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	63 416	73 153
სავაჭრო მოთხოვნები	20 892	13 670
მარაგები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	248 665	214 386
სხვა მიმდინარე აქტივები	6 113	4 950
ძირითადი საშუალებები		
შენობა-ნაგებობები	472 844	474 875
სხვა ძირითადი საშუალებები	25 676	27 147
სულ აქტივები	837 606	808 181
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	14 288	20 822
საგადასახადო ვალდებულებები		15 070
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	14 288	35 892
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	37 115	37 115
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	382 014	330 985
გადაფასების რეზერვი	404 189	404 189
სულ საკუთარი კაპიტალი	823 318	772 289
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	837 606	808 181

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს „სიხარული“-ს დირექტორი:
მთავარი ბუღალტერი:

[Handwritten signature]

2



ირმა სიხარულიძე/
მანანა ღონდაძე/

შპს „სიხარული“
ს/ნ 216352079

საზოგადოების საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2023წ	საანგარიშგებო პერიოდი 2022წ
ამონაგები	4 638 589	5 000 386
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4 198 613	-4 534 571
პერსონალის ხარჯები	-230 440	-231 179
ცვთა და ამორტიზაცია	-7 739	-7 544
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-76 465	-52 425
სულ საოპერაციო ხარჯები	-314 644	-291 148
საოპერაციო მოგება	125 332	174 667
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	125 332	174 667
მოგების გადასახადი	-11 145	
მოგება/(ზარალი)	114 187	174 667

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს „სიხარული“-ს დირექტორი:
მთავარი ბუღალტერი:

[Handwritten signature]

[Handwritten signature]



/ირმა სიხარულიძე/
/მანანა ღონდაძე/

შპს „სიხარული“
ს/ნ 216352079


ფულადი ნაკადების მოძრაობის ანალიზი

	საანგარიშგებო პერიოდი 2023წ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-9 737
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	-9 737
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	73 153
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	63 416

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს „სიხარული“-ს დირექტორი:
მთავარი ბუღალტერი:

/ირმა სიხარულიძე/
/მანანა ღონღაძე/



შპს „სიხარული“
ს/ნ 216352079

კ. პიტაღში ცვლილებების ანალიზი

	კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების ს რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	გაცემული დივიდენდი	კაპიტალის სხვა ცვლილებები	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის საანგარიშგებ ო პერიოდის საწყისი თარიღისათვის	37 115	404 189	829 855	-442 105	-56 765	772 289
მოგება/(ზარალი)	X	X	114 187	X	X	114 187
გაცემული დივიდენდი	X	X	X	-63 158	X	-63 158
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	X	X	X	X	X	X
კაპიტალის სხვა ცვლილებები	X	X	X	X	x	x
ნაშთი 2023 წლის საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო თარიღისათვის	37 115	404 189	944 042	-505 263	-56 765	823 318

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს „სიხარული“-ს დირექტორი:
მთავარი ბუღალტერი:



/ირმა სიხარულიძე/
/მანანა ღონდაძე/

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შპს „სიხარული“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირები რეესტრში 1999 წლის 26 თებერვალს. რეგისტრაციის ნომერი 9/4-445.

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- 47190-სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში;
- 47110-სადაც ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უმეტესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით.
- 68209-საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები.

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მისი დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია ირმა სიხარულიძე. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: რუსთავი, რუსთაველის ქ. 27ა. 2023 წლის მდგომარეობით „კომპანიაში“ მუშაობს 24 თანამშრომელი.

1.4 საწარმოს არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს სტრუქტურა:

- სავაჭრო ობიექტი, რომელიც ვაჭრობს კვების პროდუქტებით, სასმელით და თამბაქოს ნაწარმით.
- სავაჭრო ობიექტი, რომელიც ვაჭრობს საოფისე და საოჯახო საქონლით.
- საწარმოს იჯარით აქვს გაცემული პურის საცხობი თონე, სადაც ცხვება ერთი დასახელების პური, რომლის რეალიზებაც ხდება ადგილზე.

1.6 საწარმო მუშაობს ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე, ყიდულობს და ყიდის ადგილობრივ ბაზარზე უკვე შემოსულ საქონელს, არ ეწევა საქონლის ექსპორტს და იმპორტს.

2 სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოსილვა

2.1 საწარმოს მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მეექვსედ. ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას; ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ს.

2.2 საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა-ლარი. ვინაიდან საწარმო არ აწარმოებს ექსპორტსა და იმპორტს, უცხოურ ვალუტაში არანაირი ფინანსური ოპერაციები არ ფიქსირდება.

2.3 საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში გაამჟღავნებულია გასული პერიოდის შესადარისი ინფორმაცია, მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველა რიცხობრივი მონაცემის მიხედვით. საწარმო მუშაობს სტაბილურად, გათვლილია დაბალბიუჯეტიან მომხმარებელზე. მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ამონაგებმა შეადგინა 4 638 589 ლარი, საოპერაციო ხარჯებმა :314 644 ლარი, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებამ: 4 198 613 ლარი და მოგებამ: 125 332 ლარი, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით არის შემცირებული. წინა წლის ამონაგები შეადგენს 5 000 386 ლარს, საოპერაციო ხარჯები :291 148 ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება: 4 534 571 ლარს, ხოლო მოგება 174 667 ლარს, თანხების შემცირება ძირითადად გამოწვეულია ბაზარზე მაღალი კონკურენციით. (ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნა რამდენიმე ქსელური მარკეტი.)

2.4 საწარმო წინა საანგარიშგებო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგებ ის სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2.5 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც მპს „სიხარული“ იყენებდა მსს ფასს-ზე გადასვლამდე, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებულია 2017 წლის პირველი იანვრიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსს საწარმოთა სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად, შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა და ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისათვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

2.6 საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად. საწარმო მიიჩნევა ფუნქციონირებად საწარმოდ, მის ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ

მოიქცეს.

2.7 ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას;
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- განმარტებით შენიშვნებს.

2.8 საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით.

2.9 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარდა შპს-ს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების შეფასება აუდიტორის მიერ საბაზრო ფასებში, რამაც შეადგინა 404 189 ლარი.

2.10 სასაქონლო-მატერიალური მარაგები საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად აღირიცხება უწყვეტი მეთოდით, ხოლო მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულია „საშუალო შეწონილი“ მოდელი.

2.11 საწარმოს ბალანსზე არსებული ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. საწვავი ჩამოიწერება ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.

2.12 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

2.13 მოქმედი საგადასახადი კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება „წესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.14 საანგარიშგებო პერიოდში გაცემულია დივიდენდი : 63 158 ლარის ოდენობით.


2.15 საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობაა საოპერაციო საქმიანობა. საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები წარმოიშობა ისეთი სამეურნეო ოპერაციების შედეგად, რომლებიც გაითვალისწინება მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადებია:

- საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;
- საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- დაქირავებულ პირთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;
- საბიუჯეტო გადასახადებთან დაკავშირებული ფულადი სახსრები.

2.16 საწარმოს ხელმძღვანელის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და
ნებადართულია გასაცემად 2024 წლის 20 სექტემბერს.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია
2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

შპს „სიხარული“-ს დირექტორი:
მთავარი ბუღალტერი:



/ირმა სიხარულიძე/
/მანანა ღონდაძე/

